აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 59

14/09/2016 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

საარჩევნო ბლოკის „ჩვენები - სახალხო პარტია“ მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში კანონით დადგენილ ვადაში წარმოდგენილ პარტიულ სიაში უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატები რიგით N15 ლევან ქედელიძე და N30 დავით ალიშანიძე არ აკმაყოფილებენ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, ვინაიდან არ შესრულებიათ და 2016 წლის 8 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის არ უსრულდებათ 25 წელი.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, 41-ე მუხლის მე3 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და 74-ე მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე, **ვადგენ:**

1. უარი ეთქვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო რეგისტრაციაზე საარჩევნო ბლოკის **„ჩვენები - სახალხო პარტია“** პარტიული სიით წარდგენილი უმაღლესი საბჭოს წევრობის შემდეგ კანდიდატებს:

ა) ლევან ქედელიძე (პარტიული სიით №15);

ბ) დავით ალიშანიძე (პარტიული სიით №30).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე